ფაქტობრივი ინფორმაცია შედეგების შესახებ

რეგიონული პროექტი: CyberEast - პროექტი კიბერდანაშაულთან ბრძოლისა და კიბერ-გამძლეობის საკითხებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში (2019 წლის ივნისი - 2020 წლის ივნისი)

*პროექტი CyberEast აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებში მხარს უჭერს სახელმწიფო ორგანოებს კიბერდანაშაულის შესახებ ბუდაპეშტის კონვენციის შესაბამისი **პოლიტიკისა და კანონმდებლობის** შემუშავებაში; კიბერდანაშაულთან და ელექტრონულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით **გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეების** უნარების განმტკიცებაში; ასევე, **უწყებათაშორისი, საერთაშორისო და კერძო და საჯარო სექტორს შორის** თანამშრომლობის გაუმჯობესებაში.*

- პროექტის შემუშავების ეტაპზე, საქართველოში შეფასდა **სასწავლო საჭიროებები და შესაძლებლობები კიბერდანაშაულის და ელექტრონული მტკიცებულების კუთხით**, რა მიზნითაც გაიმართა შეხვედრების სერია ეროვნულ პარტნიორებთან და მომზადდა რეგიონული ანგარიში.
- პროექტმა წვლილი შეიტანა კიბერდანაშაულის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიის პროექტის მომზადებაში, **კიბერდანაშაულის პოლიტიკისა** და ბუდაპეშტის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.
- პროექტის ფარგლებში საქართველოში **გადამზადდნენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები** კიბერდანაშაულის და ელექტრონული მტკიცებულების შესახებ. პროექტმა, ასევე, წვლილი შეიტანა კიბერდანაშაულის სამმართველოს სტრატეგიის პროექტის მომზადებაში.
- პროექტის ფარგლებში მომზადდა **ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შეფასება,** კიბერდანაშაულის შესახებ ბუდაპეშტის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.
- საქართველომ უმასპინძლა საერთაშორისო შეხვედრას უცხო ქვეყნის სერვის პროვაიდერებთან თანამშრომლობის თაობაზე, რამაც ხელი შეუწყო ღია დისკუსიას **საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის** შესახებ ყველა იმ რეგიონის მასშტაბით, რომელიც წარმოდგენილი იყო ღონისძიებაზე.
- COVID-19-ის გამო დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ონლაინ ვებინარების სერიაში, რომლის ფარგლებშიც განიხილებოდა კიბერდანაშაულთან ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის უახლესი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად არჩევნებში ჩარევა, თანამშრომლობა კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფებთან და კიბერ-ძალადობა.
- COVID-19-ის გამო დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებმა წვლილი შეიტანეს **რეგიონული სამაგიდო კვლევების**

მომზადებაში, რომელიც შეეხებოდა მონაცემთა დაცვას, სამართალდამცავებს და სერვის პროვაიდერებს შორის თანამშრომლობას და მონაცემთა შენახვას.

[მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია პროექტის ვებ-გვერდზე.]

More information:
https://www.coe.int/en/web/cybercrime/cybercrime-office-c-proc-